## დარჩა ოთხი მატჩი…

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახ. “დინამოს” სტადიონი. 11 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – ცსკა 2:0 (2:0).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, გ. მაჩაიძე (კოპალეიშვილი), მინაშვილი, ჭილაია, სულაქველიძე, შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე (თავაძე).

ცსკა: ნოვიკოვი, ბუკიევსკი, შვეცოვი, პასეჩნიკი, აჯემი, გლუშაკოვი, შუბლინი (ჩესნოკოვი), დუბინინი (ნესტეროვი), ტარხანოვი, ბელენკოვი, დულიკი.

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

მე მახსოვს მოსკოვის არმიელთა პირველი ვიზიტი თბილისში 1936 წლის საკავშირო საშემოდგომო ჩემპიონატში. მაშინ მოსკოველთა რიგებში თამაშობდნენ იმ დროს განთქმული ფეხბურთელები ლეონოვი, ლიასკოვსკი, ზენკინი, მალინინი, რიაზანცევი, მიტრონოვი, კირეევი. გუნდს დიდი ავტორიტეტი ჰქონდა, თბილისელებმა კი, რომლებიც სულ ახლად ფეხშედგმული იყვნენ უმაღლეს ლიგაში, იმედის ნიშანწყალი არ დაუტოვეს მეტოქეს – 4:0.

შემდეგ 1939 წლის შემოდგომაზე, როცა ცსკა–ს უკვე სათავეში ედგა ფეხბურთის უბადლო დიდოსტატი გ. ფედოტოვი, თბილისშივე გადაწყდა მეორე ადგილის ბედი იმ საქრესტომათიო მატჩში, როცა დინამოელები პირველ ტაიმს აგებდნენ ანგარიშით 1:4, საბოლოოდ კი გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი – 5:4.

ამას მოჰყვა პირველი ომისშემდგომი წლები, როცა ფედოტოვს მხარში ამოუდგნენ ფეხბურთის კორიფეები – არმიელთა “მძიმე არტილერია” – ბობროვი, გრინინი, დიომინი, ნიკოლაევი, კოჩეტკოვი, ნიკანოროვი, შემდგომში – ბაშაშკინი, შესტერნიოვი, დუბინსკი და მრავალი სხვა.

ერთი სიტყვით, როცა ცსკა თბილისში ჩამოდის, ფეხბურთის ძველ მოყვარულს ბევრი რამ აქვს გასახსენებელი.

ასეთი ინტერესით მოველოდით ამ გუნდს 11 მაისსაც, მაგრამ თამაშის დასაწყისმა ცოტა არ იყოს შეგვაშფოთა. ტრიბუნებზე მსხდომნი. და აი, რატომ. მე–4 წუთზე შენგელია ის–ის იყო პირისპირ გადიოდა ნოვიკოვთან, რომ იგი აშკარად დემონსტრაციულად მოცელეს ზედ კარის წინ. წუთის შემდეგ შენგელიამ კიდევ სცადა მანევრის შესრულება და კვლავ მიწაზე აღმოჩნდა.

მე–6 წუთზე ბელენკოვმა უხეშად წააქცია ყიფიანი. მე–8 წუთზე პასეჩნიკმა აკრძალული ილეთით შეაჩერა ჩელებაძე, მე–10 წუთზე ბუკიევსკი დაურიდებლად შეეჩეხა შენგელიას. ა. ტემეტევი მხოლოდ საჯარიმოების დანიშვნით იფარგლებოდა და ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მატჩი დაემსგავსებოდა მოსკოვის “დინამოსთან” ამასწინანდელ უპრეცედენტო შეხვედრას, როცა სათამაშო მინდორი რამდენიმე დაშავებულმა თბილისელმა კოჭლობით დატოვა.

მაგრამ ეს, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა. ცსკა–ს ფეხბურთელებმა მალე უხეშობას თავი ანებეს და თამაშიც ნორმალურად წარიმართა. ექსცესები აღარ მომხდარა. ამან შედეგიც უპირველესად თვით არმიელებისთვის გამოიღო – მათ ორიოდე კომბინაცია გაითამაშეს შეტევის ხაზზე, ჯერ ტარხანოვმა “მოსინჯა” კარი, შემდეგ ბელენკოვმა სცადა, თუმცა ამაოდ, ზუსტად გაეგზავნა ბურთი მიზანში.

მაგრამ ეს მაინც ეპიზოდები იყო მხოლოდ. ინიციატივა მთლიანად თბილისელებს ეპყრათ, რომლებიც თავიანთი ამ შესუსტებული შემადგენლობითაც საკმაოდ იოლად სძლევდნენ სტუმრების წინააღმდეგობას და შეტევას შეტევაზე

წარმართავდნენ. რამდენიმე საკმაოდ შთამბეჭდავი იერიშის შემდეგ დინამოელებმა საწადელსაც მიაღწიეს. და აი, როგორ: არმიელთა ნახევარმცველმა შუბლინმა მარცხენა ფლანგზე გადაინაცვლა და აქედან მინდვრის სიღრმეში ზუსტად გადააწოდა ბურთი… ყიფიანს. ამ უკანასკნელმა წამსვე გაითამაშა სწრაფი კომბინაცია ჩელებაძესთან, მეკარესთან ერთი ერთზე გაიყვანა თავისი პარტნიორი და ანგარიშიც გაიხსნა – 1:0.

გოლს, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ფეხბურთში, წაგებულთა აქტიური კონტრმოქმედებანი მოჰყვა, მაგრამ ცსკა–ს რიგებში თუ ვინმე გამოირჩეოდა თავგამოდებული თამაშით, იყვნენ შვეცოვი, პასეჩნიკი, აჯემი, ხოლო ესენი ყველანი მცველები არიან, მხოლოდ მცველთა ინიციატივით კი ჯერ არავის მოუგია თამაში. დინამოელებს კვლავ ხელთ ეპყრათ თამაშის სადავეები მინდვრის შუაგულშიც. წინა ხაზზეც და მალე მეორე გოლიც იქნა გატანილი. 37–ე წუთზე მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი მოპირდაპირე მცველებით გარსშემორტყმულმა შენგელიამ მშვენივრად, სწრაფად დაამუშავა და ულამაზესი გოლი გაიტანა – 2:0.

ამ სოლიდური უპირატესობით დაიწყეს თბილისელებმა თამაში მეორე ტაიმში და, მართალია, შემდგომში ანგარიში აღარ შეცვლილა, მათი გამარჯვება არც ერთ მომენტში ეჭვს არ იწვევდა. თუმცა შეიძლებოდა მატჩის დიდი ანგარიშით მოგებაც: 70–ე წუთზე მორიგ გარღვევაზე გასულ შენგელიას ფეხებში სტაცა ხელი ამ მომენტში განწირულად დარჩენილმა ნოვიკოვმა და ცსკა–ს კარში უყოყმანოდ დაინიშნა პენალტი. დარტყმა რა თქმა უნდა, მიანდეს ჩელებაძეს. აქ პენალისტმა დარტყმის წინ შეასრულა ცრუ მოძრაობა, იგივე გააკეთა მისმა ვიზავიმ – მეკარემაც და… ბურთი მოიგერია.

ასე, თბილისელთა უდავო გამარჯვებით დამთავრდა ეს საინტერესო თამაში.

ახლა კი იმ 4 დარჩენილი მატჩის შესახებ, რომელზეც სათაურში ვწერდით. საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში სულ 3 გუნდია, რომლებსაც საერთო ბალანსი უკეთესი აქვთ თბილისელებთან. ესენია მოსკოვის “დინამო”, მოსკოვის “სპარტაკი” და ცსკა. ჩვენ ახლა 26 გამარჯვება გვაქვს, არმიელებს – 30. ამ 4–მატჩიანი განსხვავების ლიკვიდაცია დინამოელთა ახალ თაობას უდავოდ შეუძლია, რაც გუშინწინდელმა მატჩმაც დაგვანახა.

ბ. ქორქია.
“ლელო”, 13 მაისი, 1980 წ.